

**ბრძანება
N03/101**

28 / ივნისი / 2013 წ.

ქ.თბილისი

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის
მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის N3/181 ბრძანების დანართი
N1-ში და დანართი N2-ში ცვლილების შეტანის თაობაზე**

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში არსებული კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ნაგებობებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის N3/181 ბრძანების დანართი N1-ში და დანართი N2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

ა) დანართი N1-ში შეტანილი რიგითი ნომერი 376 - გელათის ქუჩა 13, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით – "იორის ქუჩა 30 / გელათის ქუჩა 13", შესაბამისად, ამავე ბრძანების დანართი N2-ში, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის/ ძეგლის სააღრიცხვო ბარათში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება: "გელათის ქუჩა 13" შეიცვალოს შემდეგი რედაქციით - "იორის ქუჩა 30 / გელათის ქუჩა 13" და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში, ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ობიექტის მონაცემების სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე ასახვა.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქუჩა N7).

მინისტრი

მირიანე ოდიშარია

დანართი

376 | იორის ქუჩა 30 / გელათის ქუჩა 13

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის საადრიცხვო
ბარათი № 010404222



1. სახელწოდება - გრიგორიანული ეკლესია
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, იორის ქუჩა 30 / გელათის ქუჩა 13
3. სახეობა - არქიტექტურის
4. თარიღი - მე-19 საუკუნის დასასრული